


# ღმღმღმღმ

№6, 2012

საქართველო  
108-3  
ს. ე. ბ.





მხატვარი  
ნატაშკა აბესაძე

# მზე, მთვარე და ღრუბელი

ვასილ გულუური



მზემ გადასცაბა მთვარესა:  
– ვანათებ არემარესა,  
შენ რის მაქნისი მყავხარო,  
მთელი დღე უქმად დგახარო!  
წარბი შექმუხნა მთვარემო:  
– ღამეც ანათე ბარემო.  
თუ გინდა, გეტყვი სიმართლეს,  
დღე ვის სჭირდება სინათლე?  
ამაზე ნუ ვიკამათებთ,  
ღამით სწორედ მე ვანათებ!

ეს შემოესმა ღრუბელსო,  
ცრემლები უღბობს უბესო.  
თქვა: არ შეგშენით არც ერთსო,  
კამათს რომ მართავთ ასეთსო.  
თუ გავიშლები ზეცაზე,  
გაგეჯიბრებით მეც ასე,  
თქვენ კი ჩხუბს თუ არ მორჩებით,  
არც ერთი არ გამოჩნდებით.



შერცხვა, სათქმელი რა ჰქონდა  
და მზე მთებს მიღმა ჩაგორდა.

მთვარე ფიქრებმა არია  
და ნამგალივით გალია.



# მასწავლებელი

მაიას მამამ ხალხა მოიტანა და ეზოში მდგარ ახალგაზრდა კაკლის ხეს, რომელსაც ბაყილოს ეძახდნენ, ქვემოდან ბერტყვა დაუნყო. ხრიალით ჩამოდიოდა კაკალი და ხის ქვეშ მობიბინებულ ბალახს ეფინებოდა.

ბერტყვის ხმა რომ გაიგონეს უბნის გოგო-ბიჭებმა, მაშინვე მოცვივდნენ; ამტვრევდნენ კაკალს, პირს იკაფებდნენ ახალი, გემრიელი ნიგვზით, თან აკრეფაში შველოდნენ უფროსებს; კალათებს ავსებდნენ და ეზოში ერთ ადგილას აგროვებდნენ.

მეორე დღეს იმ გროვასთან მაიას ბებია ჩამოჯდა; დიდ ბრტყელ ქვაზე წენგოიან კაკალს დადებდა, ზედ მოზრდილ მრგვალ ქვას დაარტყამდა და გაპობილი ლენჯოდან კროცი კაკალი უმალ გარეთ გამოხტებოდა. ასე დაკროცა ბებია კაკალი და აივანზე აიტანა გასაშრობად. მერე რამდენიმე მუჭა დაქუცმაცებული ლენჯო პლასტმასის ტამტში ჩაყარა, ზედ წყალი დაასხა და შიგ მაიას მამის ახლად დაქსოვილი, თეთრი, ქათქათა წინდები ჩააწყო. თან ჯოხით მოურია, რომ ყველა წინდა დასველებულიყო.

– ეს რა ქენი, ბებო, რად ჩაყარე წინდები ამ ჭუჭყიან წყალში? – გაოცდა მაია.

– არა, შვილო, ეს ჭუჭყიანი წყალი არ არის, ლენჯოს საღებავია. ეზოში დავდგამ, მზე გაათბობს, ლენჯოდან წვენი გარეთ გამოვა და წინდები შეიღებება.



მართლაც, დილით მზე მეზობლის სახლს რომ გადმოსცდებოდა, პირდაპირ ეზოში მდგარ ტაშტში ჩაიხედავდა და, სანამ გადაინვერებოდა, საღებავს ათბობდა.

მაია წამდაუნუმ ჩაცუცქდებოდა ხოლმე ტაშტთან, თითს ჩაყოფდა, თბილია თუ არაო, ჯოხითაც მოურევდა და ეზოში მოფუსფუსე ბებიას გასძახებდა:

- ბებო, არ ეყოფა? უკვე შეილება წინდები, ამოვიღოთ!
- ჯერ კიდევ იყოს, შვილო, რა გვეჩქარება, კარგად გაუჯდეს საღებავი! ერთხელ კი ხვეწნით უთხრა მაიამ ბებიას:
- ბებო, მოდი, მეც მოვქსოვ ჩემთვის წინდებს და საღებავში ჩავდებ. ერთი, როგორი გამოვა?!

- ქსოვა რომ არ იცი, შვილო?
- როგორ არა, ვიცი; შენ რომ ქსოვდი წინდებს, მაშინ ხომ მასწავლე!
- კარგი, მოქსოვე, თუ გაგიძნელდა, აქ არა ვარ? მოგეხმარები, - დასთანხმდა ბებია და ერთი პატარა, თეთრი ბანრის გორგალი და წინდის საქსოვი ჩხირები მოუტანა. აუხსნა კიდევ, როგორ უნდა დაეწყო ქსოვა.

მაია რამდენიმე დღე ქსოვდა. ზოგი ბებიას დახმარებით, ზოგიც თავისი „ცოდნით“, მართლაც მოქსოვა პატარა, კოხტა წინდები და ისიც საღებავში ჩადო.

კარგა ხანს იდგა ტაშტი მზეზე. თბილ წყალში ჩაბუშუშებული ლენჯოდან საღებავი ნელ-ნელა იწურებოდა და წინდები იღებებოდა.

ბებიამ წინდები ამონურა და ახლა სუფთა წყალში გაალაღლა. სანამ წყალი მთლად არ დაუნმინდავდა, თავი არ გაანება.

საღებავში ადრე ჩაწყობილი წინდები კარგად იყო შეღებილი, მუქად. გვიან ჩაწყობილ მაიას წინდებს კი ბაცი ფერი დაჰკრავდა, მაგრამ მაიას მაინც მოსწონდა. არც ბებია იწუნებდა: მე თუ მკითხავთ, პატარებისთვის ეს ფერი ჯობიაო.


მაია ხან ახლოდან უყურებდა თავის წინდებს, ხან შორს დაიჭერდა და ისე გახედავდა. მართალია, ზოგან ზედმეტად ჩაექსოვა ძაფი, ზოგან თვალი ჩავარდნოდა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი!..

მხატვარი  
მალხაზ კუხაშვილი



**ხალხა** (ხალა, ჭოკი) - კაკლის დასაბერტყი ჯოხი.  
**ბაყილო** - ახალი ნორჩი ხილის ხე (საბა).  
**წენგო** - კაკლის ხის ნაყოფის გარეთა გარსი, მომწვანო ფერისა.  
**ლენჯო** (ლექა) - წენგოს ნაპობი, კაკლის გაცლილი წენგო.  
**კროცი** (კროლი) - წენგოგაცლილი, დაკროცილი კაკალი.  
**გაალაღლა** - წყალში ჩადო და გაავლო.

# გასუიხნება ზოოპარკში



თუ კარგად არჩევ გარეულ და შინაურ ცხოველებს, მაშინ რეზიკოს დახმარებასაც შეიძლება: ზოოპარკში მისასვლელად მას ამ ლაბირინთის გავლა მოუწევს, სადაც გადაადგილება მხოლოდ გარეული ცხოველების უჯრებზე შეიძლება.





# დათვი და ხელადა

ირმა მაღალციხე

ერთხელ დათუნამ იპოვა  
ტყის პირას თიხის ხელადა,  
მოიყუდა და დაცალა  
მგელი ეჩვენა მელადა.

ციყვი ეგონა ურჩხული,  
კურდღელთან თამაშს ეცადა,  
ფიჭვი კუნელი ეგონა  
ცოტაც და გადათელავდა.

მერე ხის ძირში გაგორდა:  
– ნეტავ რადა ვარ ასეო!  
რატომ და, თურმე ხელადა  
ღვინით ყოფილა სავსეო.

# ჩეთილი ჰაილო

ლალი ჯაფარაშვილი

ღვარმა წაღეკა უღრანი,  
დატბორა სორო-ხვრელები,  
დათვის ბუნაგსაც მიაგნო  
ბუტბუტითა და ხველებით.

მერე რაც მოხდა, მიაბხეს  
ტყეში ბამბურა ბელებმა, –  
სპილოს სიკეთის შესახებ  
თავადაც მოგეხსენებათ.

ჩამოუარა სოროებს  
გოლიათური ომახით,  
დახრჩობას გადაარჩინა  
დათვის და მაჩვის ოჯახი.

ზურგზე შეისვა ორი კუ,  
მგლის ლეკვები და ძუ მგელი,  
ღელიდან ამოიყვანა  
წყალწაღებული კურდღელი.

მუხღჩაუხრელად იშრომა,  
უანგაროდ და კაცურად,  
ტყის ბინადართა გულწრფელი  
მადლობა დაიმსახურა.




მხატვარი  
ქეთი ჯაუტაშვილი

# სათითე და კანკაბული

ერთ გლეხს უმცროსი შვილი ძლიერ ჯანსუსტი ჰყავდა; არ შეეძლო მინაზე მუშაობა და ამიტომ, როდესაც უფროსი ძმები შინ თუ გარეთ ოფლსა ღვრიდნენ, ის ბატებს მწყემსავდა. მწყემსვის დროს მობიბინე ბალახის, აქაფებული წყლისა და შრიალა ფოთლების ენას სწავლობდა და ბუნებისაგან სხვა, ოჯახში თითქოსდა გამოუსადეგარ, სიბრძნესაც იძენდა.

ქართული ხალხური ზღაპარი



გლეხის ქოხს ერთხელ მოხუცი დედაკაცი მიადგა, პური და წყალი ითხოვა. დიასახლისმა, ღარიბული სუფრის შემდეგ, გაუბედვად რჩევა ჰკითხა, რა ეშველება ამ ჩემს ჯანსუსტ ბიჭსაო და თან ბავშვის შესახებ ყველაფერი უამბო. ლაპარაკის დროს ბიჭმა ბატები მორეკა და ქოხში შესვლისას სტუმარს მოკრძალებით მიესალმა.

სტუმარმა შეხედა და ჩაიციხა, ბოხჩიდან მაკრატელი და სათითე ამოიღო, მიანოდა და უთხრა:

– აი, აილე, მიჩუქნია და, იცოდე, ეს ნივთები ბედსა გწვესო!

ესა თქვა და წავიდა. მეორე დილას ბიჭმა იფიქრა, შინ მაინც ვერაფერს ვაკეთებ, წავალ, სოფელ-ქვეყანას ვნახავო და გზას გაუდგა. რომ არ მოსწყენოდა, თან გალიით ჩიტი და ბოხჩით ზღარბი წაიყვანა.

ერთ სოფელში თერძს სთხოვა, შეგირდად მიმიღეო. თერძიც დასთანხმდა.

გაიკეთა თუ არა ბიჭმა თითზე ნაჩუქარი სათითე, ნემსმა თავისთავად იწყო საკერავში სიარული. თილისმიანი მაკრატლის წყალობით ხომ საუცხოო ხალათი გამოჭრა. გულუბრყვილო თერძს მეტისმეტად უკვირდა, ბიჭმა ასე ჩქარა ხელობა როგორ აითვისაო და ერთი კვირის შემდეგ აღარც უსწორებდა კერვისას რაიმეს.

მალე ბიჭი მახლობელ ქალაქში დიდ სახელოსნოში დადგა და პირველი ხელოსანიც გახდა.

ერთის წარმატება სხვის გულში ყოველთვის შურს იწვევს. ერთმა ხელოსანმა ხუმრობით მაკრატელი მოჰპარა და ახალუხი გამოჭრა. მაკრატელი თავისთავად ამუშავდა და საიდუმლო გამომჟღავნდა. მაგრამ როდესაც გამოჭრილი შეკერეს, აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ კუზიანს თუ მოერგებოდა.

სახელოსნოში ბიჭს კუდიანობა დასწამეს. დამფრთხალი ყმაწვილი თავისი მაკრატლით, სათითეთი, ჩიტითა და ზღარბით იმ ქალაქიდან გადაიხვეწა და მალე სხვა ქვეყანაში ამოყო თავი.

აქ ყველა ხამი ტილოს ტანისამოსში იყო გამონყობილი და ბიჭის ჩაცმულობამ ძლიერ გააოცათ. მცველებმა მაშინვე შეიპყრეს და იმ ქვეყნის მეფეს მიჰგვარეს.



– ვინა ხარ და ეს რა გაცვია ტანზე? – იკითხა ხელმწიფემ.  
– თერძი გახლავართ და ჩემივე შეკერილი ტანისამოსი მაცვია.  
მეფე განრისხდა:

– ასეთი ტანსაცმლისათვის წკებლა გეკუთვნის. თუ ჩვენს დევკაცს შეჯიბრში არ აჯობე, თავს გაგაგდებინებ. აქ ასეთი წესი გვაქვს! – თქვა მან.

ბიჭი იმწამსვე ციხეში წაიყვანეს.

პატარა თერძმა ციხის უფროსს სთხოვა, მეფის რისხვის მიზეზი ამიხსენიო.

– ყველაფერი ქალების ბრალია: ჯერ ცხონებულმა დედოფალმა დატანჯა მეფე ყოველდღე ახალ-ახალი კაბების კერვით. მერე მეფის ასული წამოიზარდა. ის დღეში ექვს კაბას იცვლიდა. ბოლოს მეფემ მოთმინება დაკარგა: თავისი ასული კოშკში დაამწყვდია და მცველად დევკაცი მიუჩინა. ამის შემდეგ აკრძალეს ხამი ტილოს გარდა სხვა ტანისამოსის ტარება და თერძების სინსილაც განწყიტეს; დევკაცს აჯიბრებდნენ და, რომელი თერძიც მას ვერ აჯობებდა, თავს სჭრიდნენ. მართალია, ვინც დევკაცს სძლევდა, ცოლად მეფის ასულს დაჰპირდნენ, მაგრამ, ალბათ, დაცინვით, თორემ დევკაცის მჯობნი ვინ იქნება?!

დილით ბიჭი კოშკთან მიიყვანეს.

– ესეც კიდევ ერთი შემანუხებელი, – დაიგრგვინა დევკაცმა, – აბა, ჯუჯავ, ამგვარ რამეს თუ იზამ? – თქვა და უშველებელი ლოდი მონათიბ მინდორზე ბურთივით გააგორა. ქვა თვალუნვდენელი მინდვრის ბოლოს, გორაკის ძირას გაჩერდა.



ბიჭს ჩაეცინა, ბოხჩიდან ზღარბი ამოიყვანა და მინდორში ქვასავით გააგორა. ზღარბი ამოძრავდა, მიაღწია გორაკს, გადავიდა ზედ და მიიმალა.

დევეკაცმა გაკვირვებისაგან პირი დაალო, მაგრამ ისტიბარი მაინც არ გაიტეხა:

– აბა, ახლა ეს სინჯე!

გამოქანდა დევეკაცი და უშველებელ მუხას გადაახტა.

ბიჭი ცოტა დაფიქრდა და უთხრა:

– მე გამოურბენლად მაგ მუხაზე უფრო მაღალ ამ ალვის ხეს გადავევლები; შენ მხოლოდ გადმომიღუნე, რომ გავზომო, როგორი ნახტომია საჭიროო.

დევეკაცმა ალვის ხე გადმოღუნა, ბიჭმა ხის კენწეროს ხელი სტაცა და უთხრა, აუშვიო. ალვის ხე გაიმართა და ბიჭი ორჯერ მაღლა შეისროლა, ვინემ საჭირო იყო.

– შეხედე, ამ ქვას მე კოშკს ვუნევ! – გაცხარებით თქვა დევეკაცმა.

კოშკის წვერი ცას ებჯინებოდა.

დევეკაცის ნასროლი ქვა მხოლოდ ერთი არშინით ვერ მისწვდა კოშკის სახურავს.

ამ დროს ბიჭმა გალიიდან ჩიტი ამოიყვანა.



– აბა, ახლა მე მიყურე! – ამ სიტყვებით ჩიტი ჰაერში შეისროლა, ისიც აფრინდა, კოშკს გადაუარა და ცაში მიიმალა.

– მაჯობე, დავმარცხდიო, – აღიარა მოტყუებულმა დევეკაცმა.

მეფემ, დაპირებისამებრ, ბიჭს თავისი ქალი მისცა ცოლად და ტახტიც დაუთმო.


თერძი, მეფედ გახდომის შემდეგ, თილისმის მაკრატლით ავკაცებს კარგ კაცებად გამოჭრიდა ხოლმე, სათითოთა და ნემსით კი თავის მამაც ჯარისკაცებს ომში დაკარგული ხელ-ფეხის ნაცვლად ახალს მიაკერებდა... იმასაც ამბობენ, დედოფალმაც ცოტა როდი ამუშავა სათითე და მაკრატელიო.



მხატვარი ნანა სანაია



# სულელი მონადირე



მხატვარი  
ედუარდ ამბოკაძე


# მსიერული ლექსები

## პირუბანელა



ანზორ აბულაშვილი

სულ ჰატარა ღრუბელი  
 სხვა ღრუბლებთან დაწვეილდა,  
 მერე თუმცა მზე იყო, –  
 იქუნა და გაწვიმდა.  
 მერე გადაიდარა,  
 ნამში დარჩნენ ბაღები...  
 – მზემ ჰირი დაიბანა! –  
 ეიყინებდნენ ბაღლები.  
 დედამ უსაუვედურა  
 ჰირუბანელ მანანას:  
 – ნეტავ, ერთი მახვევა,  
 ჰირი დაგაბანინა,  
 მზემ ხომ აი, დღეს ორჯერ  
 დაიბანა ჰირიო,  
 შენ კი წელისა და საპნის  
 დანახვაზე ტირიო.  
 იცით, რა თქვა მანანამ?  
 წამითაც არ დაიბნა:  
 – მზე რომ საპონს ისვამდეს,  
 ერთხელაც არ დაიბანს!



ტაბუ მებურიშვილი

მტრედისფერი ეკრანი  
 ბრწყინავს ტელევიზორის,  
 ეკრანზე ჩანს ჟირაფი,  
 სებრა,  
 სპილო,  
 ბიზონი.  
 უკვირს ლალის,  
 მამუკას,  
 ვაჟას,  
 ლიას,  
 ტიტეს,  
 ამ ვეება ცხოველებს  
 ეკრანი რომ იტყვს.

წელევიზორისა

მხატვარი  
 მალხაზ კუსაშვილი

## ხეობსანი

ქეთევან ჭილაშვილი

გია მზობში შემოდგა თუ არა ფეხი, ლელა  
 შემოხვდა.  
 – ლელა, იცი, მე ხუთოსანი ვარ! – მიახარა  
 გიამ.

# მამალი და მუჩია

არნო მნელი

ესოში დადის მამალი,  
დადის და დაიფხორება,  
უეუარს ერთი და იკივეს  
ათასჯერ გამეორება:  
– ჩუ! კრინტი! არა მითხრათ რა,  
ეს ესო სულ მთლად ჩემია.  
ფუნებს რომ მიწას ვაბიჯებ,  
თავი ცნას მიმიბჯენია!  
თავზე რომ ჯიღა მადგია,  
სულ სურმუსტი და ლაღია,  
დილით რომ ამობრძანდება,  
მსესაც კი რჩება თვალთა!  
ახლა მალ-ღონეც იკითხეთ:  
ვინ არის ჩემთან დევიან,  
რამდენი ქოფაკისათვის  
შავი დღე დამითევია!  
ამ დროს შემოხვდა მუჩია,  
შესედა ჩუმი ღრენითა,  
და მამლაყინწამ მოუსვა  
ხან სტომით, ხან კი ფრენითა!



ზაალ ებანოძე



გაბის ბურთი მოუტანეს,  
უცნაურად ელვარე.  
ბურთზე ნახავ ალზების თუ  
კავკასიის მწვერვალებს,  
ევროპას და ამერიკას,  
აფრიკას და აზიას,  
უველა ამას გაიძახის:  
– დედა, რა ლამაზია!  
მაგრამ გაბი არ ერევა  
იმათ დავა-კამათში,  
ფიქრობს: – არ გამიგონია  
დედამიწით თამაში...

## გაბის ბურთი

– ხუთოსანი? ასე მალე როგორ მიიღე ყველაფერში ხუთი?  
– ყველაფერში კი არა, ქართულში მივიღე.  
– ამას არ უყურებ! ერთი ხუთიანით ხუთოსანი უნდა გახდეს, – გადაიკისკისა ლელამ.  
– ოჰო, როცა ერთი ორიანი მქონდა, ოროსანს მეძახდით, ახლა არა ვარ ხუთოსანი? –  
ტუჩი აიბზუა გიამ და ჭიშკარი მიაჯახუნა.

# უ ა ე თ ს ჰ ე ჰ ა

პირველი წიგნი

## ტრამვაიში

მოსეირნე მე საზღვებს შორის  
ატედა უცებ ვაი-ვიში;  
აირია უველაფერი,  
ჭედვა არის ტრამვაიში.

ციუვი ჭევივის: – მიიწიეთ,  
ველარ ვხედავ, სუნთქვას მიშლით?!  
კურდღელსა და ფისუნიას  
ჩაუვარდათ ენა შიშით.

მელაკუდა კარს მიაწედა:  
– ჩქარა, ქვევით გადამიშვით!  
ჩვენს კონდუქტორ კენკურუსსაც  
მთლად აებნა ანგარიში.

თურმე მია ბეჭემოთი  
ამობრძანდა ტრამვაიში.  
ტრამვაი კი როგორც ქარი,  
მიდის, მიჭქრის, მიიჩქარის.  
– რა გაუვირებთ?! – ბრახობს ზღარბი,  
– ფენს ვინ მადგამს? – ჩივის ჭოტი,

ზინგვინს ქუდი დაჰკარგვია,  
დანეთ, რას ჰგავს თავმელოტი!  
ჭრელა ჟირაფს დააკვირდით,  
მოფიქრებაც ამას ჰქვია!  
გრილ ნიაფსე სანებივროდ  
თავი გარეთ გაუყვია.

ტრამვაი კი როგორც ქარი,  
მიდის, მიჭქრის, მიიჩქარის.  
აღარ წუდება შემახილი,  
აქეთ – კვენესა, იქით – შოთი.

ფიქრობს ციუვი, ციუუნია,  
ბუძგა ზღარბი, ფისო, ჭოტი  
და ჟირაფი გრძელკისერა,  
ეს ზინგვინიც თავმელოტი:



ნეტავ როდის, ნეტავ როდის  
ჩაბრძანდება ბეჭემოთი!  
ტრამვაი კი როგორც ქარი,  
მაინც მიჰქრის, მიიჩქარის.

უცებ ციუვა გადაწვიტა:  
– ვერ ავიტან ამდენ ლოდინს, –  
ისკუზა და იქვე გზასე  
აიჩნია ნაძვის ტოტი.

ციუვს კურდღელი აედევნა,  
კურდღელს – ფისო, ფისოს – ჭოტი,  
ჭოტს – ჟირაფი, ჟირაფს – ზღარბი,  
ზღარბს – ზინგვინი თავმელოტი.  
და ტრამვაით მიჰქრის ახლა  
მხოლოდ მია ბეჭემოთი.

1962 წ.


მხატვარი  
ელუარდ ამბოკაძე

“დიას” არქივიდან



## ვრსწავლოთ ხაცვა


1. შემოავლე ფანქრრთ ხაზრ კონტურს;
2. შემოავლე ფანქრრთ ხაზრ კონტურს და დაასრულე ნახატრ;
3. თვრთონ დახატე გოჭრ უჯრებში წრნა ნახატებრს მრხედვრთ;
4. ახლა კრ სცადე, სუფთა მრნდორზე დახატო რგრვე ფრგურა, მერე კრ გააფერადე.




1



2



3



4






# გალობა









## ბ ა ლ უ ბ ი

 ს უცინოდა.  <sup>მე</sup> დამწიფებელიყო.  პირდაღებული იყვიტებ 


 ვით ჩამტკ  ყო.  ნუნკი  საკენ მიიწეულა

 ში გაეკეხა.  თ ეტერა, - მეგობარს ვუშე-

 ლიო.  მა კი <sup>2</sup> ვეს კუდიით  ასროლინა. ამ დროს  გაგო-

 რდა,  შურგზე აისხა და  საკენ არ  ინად გასწ

# შპაქაშა შენი ხელით



შეპლის გასაკეთებლად დაგჭირდება ფერადი ქაღალდები, მაკრატელი და შენი მარჯვე ხელები.

დასაწყისისთვის საჭიროა დაამზადო 108 ფერადი დეტალი, აქედან:

- 10 ცალი – შავი;
- 12 ცალი – ყვითელი;
- 24 ცალი – ნივთელი;
- 22 ცალი – სტაფილოსფერი;
- 50 ცალი – ვარდისფერი.

შეგიძლია ფერები შენი ფანტაზიით შეცვალო, მაგრამ რაოდენობა და ფიგურის ანუობის თანამიმდევრობა არ უნდა აურიო.




ერთი A4 ფორმატის ფურცლისგან 8 დეტალი გამოგივა.





კარგად დააკვირდი ნახაზს და დაკეცე ისე, როგორც აქ არის ნაჩვენები.

შეშლას 4 ფრთა აქვს, 2 პატარა და 2 დიდი. ტანი შავი დეტალებისგან იწყობა.

ახლა კი მიჰყევი ფოტოებს და ეცადე დეტალები ერთმანეთში ისე ჩასვა, როგორც ნიკოლოზი აკეთებს ამას.

თუ გაგიჭირდა და მიხვდი, რომ არ გამოგდის, მაშინ ინტერნეტი დაიხმარე და ესტუმრე გვერდს [www.youtube.com](http://www.youtube.com), მიუთითე 3d origami და ნახე ვიდეო-გაკვეთილი.





# სოფელთა სოფელთა



## პინგვინები (Spheniscidae)

- სამეფო - ცხოველები
- ტიპი - ქორღიანები
- კლასი - ფრინველები
- რიგი - პინგვინისნაირნი
- ოჯახი - პინგვინები



ბევრისთვის პინგვინები შავ ფრაკში გამონყოფილი სასაცილო ჩიტები არიან, რომლებიც სიარულით და გარეგნობით სერიოზულ კაცუნებს ჰგვანან.

იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ, მუდამ თოვლია, თუმცა გვხვდებიან თბილ ქვეყნებშიც: ავსტრალიის სანაპიროზე, ახალ ზელანდიაში, ამერიკასა და აფრიკაშიც კი, მაგრამ ეს ჩიტები, რომლებიც ვერ დაფრინავენ, ცნობილი არიან იმით, რომ შეძლეს და აითვისეს დედამიწაზე ყველაზე მკაცრი კონტინენტი — ანტარქტიდა, სადაც ტემპერატურა მინუს 60<sup>0</sup>-ზე დაბლა ეცემა.

ასეთ ყინვაში პინგვინები არა მარტო ცხოვრობენ, არამედ კვერცხსაც დებენ და იმდენს ახერხებენ, რომ შვილების გამოსაჩეკად კვერცხი სათანადოდ გაათბონ.

ყველაზე დიდია სამეფო პინგვინი. ის ერთ კვერცხს დებს, შედარებით პატარა სახეობების პინგვინები კი — ორ-სამს. თავიდან კვერცხს დედა პინგვინი ათბობს, მალევე მამას გადაულოცავს, რომელიც მთელი საინკუბაციო პერიოდი (2 თვეზე მეტი) არაფერს ჭამს და წონის ნახევარს იკლებს.



პატარა პინგვინები დაფარული არიან თბილი ბუმბულის საფრით, მაგრამ თათების ბალიშები ჯერ კიდევ ძალიან თხელი აქვთ. ამიტომ ისინი მშობლის თათებზე სხედან, რომ არ გაიყინონ.



# იცი თუ არა, ჩემ...



პინგვინები თავიანთ ნაშიერებს ერთად უყრიან თავს „საბავშვო ბაღში“. პატარებს ჰყავთ „მასწავლებელი“, რომელიც მტაცებლებისგან იცავს მათ. ნადირობიდან დაბრუნებული მშობლები აკითხავენ შვილებს და მათთვის საჭმელი მიაქვთ. პატარა პინგვინები ძალიან სწრაფად იზრდებიან. მათ შესაშური მადა აქვთ, სადილად 6 კილოგრამი თევზი არ ჰყოფნიან. 5 თვის ასაკში პირველად გადაიან ზღვაში დამოუკიდებლად.


პინგვინებმა არ იციან ფრენა და ხმელეთზეც ძალიან უხერხულად გრძნობენ თავს. სამაგიეროდ ძალიან კარგად ცურავენ. მათ კანქვეშ ქონის სქელი ფენა აქვთ, ამიტომ დიდხანს შეუძლიათ ცივ წყალში ცურვა და ხანგრძლივ მოგზაურობებსაც ხშირად აწყობენ. ისინი ცხოვრების 2/3-ს წყალში ატარებენ. მუცელზე განოლილი სწრაფად მისრიალებენ ყინულზე, შეუძლიათ აცოცდნენ ნებისმიერი დაქანების აისბერგზე და ფრიალო კლდეზე, გადახტნენ წყალში ნებისმიერი სიმაღლიდან, ღრმად ჩაყვინთონ, თითქმის 20 მეტრის სიღრმეზე, და იქ 80 წუთს გაჩერდნენ.



მდედრი და მამრი პინგვინები მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთის ერთგული რჩებიან. ისინი მხოლოდ შეჯვარების დროს ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ დიდი ხნის განშორების შემდეგაც კი მამრი ათასობით სხვა პინგვინში გამოარჩევს თავის პარტნიორს.



პინგვინები ჯგუფურად ცხოვრობენ. სადილობის შემდეგ, როდესაც ყინულზე წვებიან დასასვენებლად, როგორც წესი, პოსტზე ტოვებენ გუშაგს. შემდეგ იწყება გუშაგების ცვლა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, გუშაგი მიდის ერთ-ერთ მიხინარე პინგვინთან და შენჯღრევით აღვიძებს მას. გამოღვიძლებული პინგვინი იკავებს პოსტს, ყოფილი გუშაგი კი ამხანაგები მეზღვიასაგან, რომელიც პინგვინების უსასტიკესი მტერია.



# ქიჩაფი

ნარო კოლხელი

## და

# კუჩედი

ერთხელ ჟირაფს დედიკომ დაბადების დღეს ლამაზი ბურთი აჩუქა. ჟირაფმა ბურთი თავზე დაიდო და სასეირნოდ წავიდა: იქნებ ვინმე შემხვდეს და მეთამაშოსო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შეხვდა კურდღელი.

– გამარჯობა, შენ ვინ ხარო? – ჰკითხა კურდღელმა.

ჟირაფმა თავმომწონედ დახედა და უპასუხა:

– მე ჟირაფი ვარ, ყველაზე მაღალი და ლამაზი. შენ ვინა ხარ, ასეთი პატარა და ყურებცანცარაო?

– მე კურდღელი ვარ; მართალია, ყველაზე ლამაზი და მაღალი არ ვარ, მაგრამ მოხერხებული და ცქვიტი კი გახლავარო.

– ეგ როგორო? – გაუკვირდა ჟირაფს.

– ბანანებს თუ მომიკრეფ, გეტყვიო, – მიუგო კურდღელმა.

– შენ თვითონ ვერ მოწყვეტო?

– ვერ მოწყვეტო.

– რატომო?

– იმიტომ, რომ პატარა ვარ და ვერ მივწვდებიო.

ჟირაფმა გაიცინა:

– აკი მოხერხებული და ცქვიტი ვარო?

კურდღელი დაღონდა და კუნძზე ჩამოჯდა, ლამის ტიროდა. ჟირაფმა დაამშვიდა:



– მოდი, მეთამაშე, თუ ბურთს წამართმევ, მოგიკრეფ ბანანებს, თუ არა და – არაო.

კურდღელი დასთანხმდა. დაიწყო თამაში.

ჟირაფი ბურთს მალლა ისროდა და იჭერდა, კურდღელი კი მის ირგვლივ დახტოდა. ვერაფრით წაართვა. აბა, იმხელა ბუმბერაზ ჟირაფს ერთი ციდა კურდღელი ბურთს როგორ წაართმევდა?

ჟირაფმა დასცინა:

– თუ მართლა მოხერხებული და ცქვიტი ხარ, ბურთი როგორ ვერ დაიჭირეო? – ისე გულიანად გადაიკისკისა, რომ ბურთი კისრიდან ჩამოუგორდა და არხის ქვეშ ჩირგვებში ჩაგორდა.

ბევრი ინვალა ჟირაფმა, მაგრამ რას გახდებოდა, ვერაფრით ვერ გამოიღო ჩირგვიდან ბურთი. დაიწყო ტირილი: – ბურთი დამეკარგა, დედიკო გამიბრაზდებაო.

კურდღელმა დაამშვიდა:

– ნუ ტირი, ბურთს მე გამოგიღებო, – უცბად ჩირგვებში ჩახტა, ბურთი გამოაგორა და ჟირაფს ფეხებთან დაუგდო. ჟირაფს შერცხვა და კურდღელს ბანანები მოუკრიფა.



მხატვარი  
ელენე ვარამაშვილი

## მოგზაურობა მეორე

კვლავ ვაგრძელებთ მოგზაურობას და ახლა ტაოსკენ ვიღებთ გეზს. იქ გველოდება ექვსი საოცრება, რომელიც საექსკურსიო მარშრუტით არის გათვალისწინებული: ოშკი → ხახული → პარხალი → ოთხთა → იშხანი → ბანა.

ახლა თითქოს დაკვალიანებული მივდივართ. კვლავ ჭოროხისწყალი გვეგებება, კაშხალში გამომწყვდეული და დაღონებული. უკვე წყლით დაფარულია ის ბილიკები და ის დასახლებული ადგილები, რომელთა ნახვაც წინა ექსკურსიის დროს მოვასწარით.

ავტობუსს უფრო მაღლა ავყავართ. რასაც ახლა ვხედავთ და ვგრძნობთ, ამის დავინყება შეუძლებელია. ეს თვითონ უნდა განიცადო.

დღესაც დიდებულია ოშკი, მდინარე თორთუმისწყლის ნაპირზე ბაგრატი ერისთავთერისთავისა და დავით III კურაპალატის მიერ აგებული მონასტერი. ქვათა სიმფონიაში ქართული ხუროთმოძღვრების ჩაუქრობელი სული ახლაც ფეთქავს. საუკუნეები უკან იხევენ და ისევ ვხედავთ ქართულ სახეებს, სათნო, წმინდა ბერებს, ქართველ მწიგნობრებსა და მღვდელმსახურებს, დაუღალავ შრომაში გაღულ დღეებს, თვეებს, წლებს; ვგრძნობ ჩემი წინაპრების მხნეობის ძალას, რომელმაც ბევრად გაამდიდრა ერის კულტურა.


ხახული – კვლავ გაოცება და აღტაცება. აქ, ხახულისწყლის პირას, თორთუმისწყლის მარცხენა შენაკადთან მდგარ სავანეში X-XI საუკუნეებში ლიტერატურული ცხოვრება ჩქეფდა. აქ მოღვაწეობდნენ იოანე ხახულელი, დავით თბილელი და ქართული კულტურის სხვა დიდი მოამაგენი.

პარხალი წვიმაში ვნახეთ, საღამოხანს. მონასტერი აგებულია მდინარე პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის, ანუ პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთ კალთაზე. იგი დავით კურაპალატს დაუარსებია X საუკუნეში. მოგვიანებით, მაჰმადიანობის მომძლავრების შემდეგ, ტაძარი მეჩეთად გადაუკეთებიათ. თვალს ხიბლავს ასე ნაცნობი პეიზაჟი, ქართული შემოგარენი. პარხლის წვიმაში გალუმპულეებს ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს რაღაც ძალამ შეგვაერთა უძველესი ტაძრის კედლები და საქართველოდან ჩამოსული „გურჯები“. გინდა ყველაფერს მოეფერო, ხელი შეახო, ილოცო და სიმარტოვე შემსუბუქო.

ღამე „გურჯის“ სასტუმროში გავატარეთ. მოვიხიბლეთ მასპინძლის სტუმართმოყვარეობით, ტკბილი, გულახდილი საუბრით. მეამაყება, რომ ქართველი ვარ; „გურჯებს“ აქ პატივს გვცემენ, როგორც წესიერ ხალხსო, – გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა, 50 წელს მიღწეულმა კაცმა და ესეც დასძინა: სხვაგან ცხოვრება რატომ უნდა მინდოდეს, ეს ჩემი, ქართული მინა-წყალიაო...

აქ, ტაო-კლარჯეთში, სადაც უნდა მივიდეთ, რომელი ტაძარიც უნდა მოვილოცოთ, თან დაგვყვება ნათელი აჩრდილი დიდი ქართველი ბერისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ მხარეში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებას.

პარხალი



ოშკი



„ოთხთას“ დილით, ადრიანად ვესტუმრეთ. დავათვალთვალეთ IX-X საუკუნეების დიდებული ტაძარი და იშხანისკენ დავადექით გზას.

იშხანი – საოცრებათა შორის ყველაზე დიდი საოცრება. შორი გზით საკმაოდ დაღლილებმა უეცრად ზღაპრულ სავანეში ამოვყავით თავი. აქ თავდაპირველი ეკლესია ჯერ კიდევ VII საუკუნეში აუგიათ. არაბების მიერ დანგრეული ეკლესია IX საუკუნეში განუახლებია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს საბა იშხნელს, შემდეგში იშხნის პირველ ეპისკოპოსს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა აქ გაშლილ ლიტერატურულ-მნიგნობრულ საქმიანობაში. საბოლოო სახე ტაძარს XI საუკუნეში მიუღია.

ბოლო ისტორიული ძეგლი, რომლის ნახვაც ამ მოგზაურობისას აუცილებლად უნდა მოვასწროთ, VII საუკუნეში აგებული და IX საუკუნის II ნახევარში განახლებული ბანას კომპლექსია. ის თავის დროზე ქართველთა სატახტო ქალაქადაც ითვლებოდა.

მდინარე ბანის ნაპირზე გაშლილ მინდორზე, შემალლებულ ადგილას, შორიდანვე ჩანს უკვე ნანგრევად ქცეული ტაძარი. მდუმარედ ვათვალთვალავთ ჩვენი მარშრუტის „მეექვსე საოცრებას“. ქედს ვიდრეკთ ქართველ მეფეთა სამარხების წინაშე. გულისტკივილით ვუმზერთ ერთ დროს დიდებულ ძეგლს, რომელსაც განადგურების ხავსი მოსდებია.

... და ისევ – სარფი.

აქ თითქოს სხვაგვარად ფეთქავს ქართველის გული. სარფი წყალგამყოფი ქედივითაა. მოდიხარ და გული ისევ ტაო-კლარჯეთისკენ იწევს, ისევ ახალ გზებსა და მარშრუტს დაეძებს წარსულთან შესახვედრად. ძლივს გაიღო კარი, ძლივს კვლავ ინთება ქართველის ხელით წმინდა სანთელი მიტოვებულ ქართულ ტაძრებში. მოდი, მოვინახულოთ ეს ღვთიური მადლით ნაშენი ეკლესია-მონასტრები; მოდი, ამ საშვილიშვილო საქმეში ყველამ ჩვენი სიტყვა ვთქვათ; გვეძახის, გველოდება ტაო-კლარჯეთი.

სახული.  
ფრაგმენტი



დალი მაზმიშვილი

ბანა





მანჩო ყარანგოზიშვილი

# დებოუტი



## მეთევზე

მოხუცი მეთევზე იხსენებს ამბავს,  
 ჰატარობისას ანკესს რომ აბამს...  
 თუ როგორ უსხლტება ხელიდან თევზი,  
 ანკესს წამოკებულ არსებას ებრძვის.  
 წამოიზარდა და ნავით გაიპარა...  
 მშობლებს გაექცა და ზღვაში შეიპარა  
 დარდი აწუნებდა, ნავს მიჰყვა ფიქრით...  
 და ზღვაში შევიდა შიგნით და შიგნით.  
 ერთხელ კი სიკვდილს ჩახედა თვალში...  
 როცა ზვიკენმა შეამჩნია ნავში.  
 როგორღაც გადარჩა, დაიხსნა თავი,  
 ასე აიცილა სიკვდილი შავი,  
 მას შემდეგ მიჰყვა და არის მეთევზე,  
 ცხოვრების ნაწილი ავგო ანკესზე.

12 წლის

## მარტობის საჩუქარი

- ჰუჰ... ისევ მარტო მე...
- და მე... მე დაგავიწყდი?
- უი, შენც აქ ხარ?! შენ ხომ მხოლოდ მარტობაში მოდიხარ ჩემთან?! ისე, მადლობა უნდა ვუთხრა მზეს „მარტობის საჩუქრისათვის“...
- შენ მზეს მხოლოდ ჩემთვის კი არა, ეველაფრისთვის უნდა უთხრა მადლობა.
- ხომ არ მიმატოვებ?
- სანამ შენ და მზე იცოცხლებთ, არა!..
- კარგია, შენ მაინც არ მიღალატებ... და სულ ჩემთან იქნები სიცოცხლის ბოლომდე...
- ხო... მე ხომ შენი ჩრდილი ვარ.

11 წლის



იცით, ამ ლექსით მე მინდა გითხრათ, რომ ეველაფერი, რაც დღემდე ითქვა: თუ ვინ ვიყავი, ვის ვცემდი ჰატის, ვინ მევარებია, ჩემთვის ვინ რად ღირს, იყო ტუუილები, ზოგიც – სიმაღლე, ვილაცისთვის კი – თვალის სინათლე! რა, მე არა ვარ გზად შეცდომილი და არ მაქვს ცოდვა მცირე თუ დიდი? მეც ბევრჯერ მქონდა ცოდვის დღეები, რისკიან წუთებს მე ბევრჯერ ვცდიდი; ზოგთან ვიყავი მე მანვნი ბავშვი, ზოგთან – გოგონა უმწიკვლო, მშვიდი; ახლა კი ვამბობ, სიმაღლეს ვამბობ: ეველაფერია დიდი თეატრი! იცით, თქვენ ეველა, ურჩევლად ეველა,

ხარტ ჩემთვის ერთი ასანთის ღერი – თუ არ აენტეთ, ასე დარჩებით, და თუ აენტეთ, მოკეფერებით. იცით, მე არ ვარ სულ თქვენსაირი შევდგები სულ სხვა ატომით, აირით, ზოგისა მესმის, ზოგისას ვხვდები, ზოგისსაირი მეც მაქვს ფიქრები; თუმცა ჩემსავით, არა მგონია, ვინმეს უევარდეს ცა და ფიფქები. ჩემი ტვინი კი სულ წითელია, საითაც წავა, მეც იქ მივუვები, ჩვენ სულ ერთად ვართ, სულ, სულ ერთად ვართ: ოცნება, მე და ჩემი ფიქრები!

13 წლის



# დილის

## ფოტოკონკურსი



ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს. კონკურსის პირობები იხილეთ facebook-ის გვერდზე – საბავშვო გამომცემლობა დილა



შურნალის გამოწერა შეგიძლიათ  
"საქართველოს ფოსტის" მეშვეობით

უდაზრ ნახატი: ლაშა სულაკაურიძე  
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია  
ტელ.: 272-97-67; 293-69-77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com)  
ფასი: 2 ლარი